საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

# მთვარაძე სიმონ ვასილის ძე



ს. მთვარაძე

მთვარაძე სიმონ ვასილის ძე (?? 1905, საგარეჯო, - 24. IV. 1968, თბილისი), დრამატურგი, მწერალი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1928. წლების განმავლობაში იყო ქართ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სალიტ. ნაწილის გამგე. მისი ბევრი პიესა დაიდგა საქართვ. თითქმის ყველა თეატრში, ხოლო „შლეგი“ და „მთაგრეხილზე“ - რუსთაველის სახელმწ. აკად. თეატრის სცენაზე. მ-მ დ. ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხის“ მიხედვით დაწერა პიესა „სურამის ციხე“ (1954), რ-იც დაიდგა მოზარდ მაყურებლის თეატრში. ამ პიესას და დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. მკითხველის მოწონებით სარგებლობდა მისი თხზულებები: „ამბავი ივრის ხეობაში“, „ფალავანი“, „ლეკთა სარძლო“, „მძლეთა მძლე“, „ჩაშლილი ქორწილი“ (1952) და სხვ.

მ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

*ლიტ.:* ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ზ., ნ ო ზ ა ძ ე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.

***ი. აბაშიძე***

---